www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2022

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

13.04.2023
www.geostat.ge

13.04.2023

საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2022 წელი

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

ერთწლიანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს ხორბლის წარმოებამ 157.4 ათასი ტონა შეადგინა, რაც 15.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 0.5 პროცენტით გაიზარდა და 58.4 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 149.5 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 35.8 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. კარტოფილის წარმოება 15.6 პროცენტით შემცირდა და 198.2 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2022 წლის განმავლობაში წარმოებულია 127.9 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 14.2 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების წარმოება 2016-2022 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის წარმოება 2016-2022 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

www.geostat.ge info@geostat.ge

კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება 2016-2022 წლებში

(ათასი ტონა)



2022 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით სიმინდის და კარტოფილის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები შემცირდა. გაიზარდა ხორბლის, ქერის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.9 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ - 2.4 ტონა/ჰა, სიმინდის - 2.1 ტონა/ჰა, კარტოფილის - 11.7 ტონა/ჰა, ბოსტნეულის - 11.0 ტონა/ჰა, აქედან პომიდვრის მოსავლიანობაა 12.7 ტონა/ჰა, კიტრის 13.2 ტონა/ჰა, ხახვის 7.8 ტონა/ჰა, ნივრის 3.7 ტონა/ჰა, კომბოსტოს საშუალო მოსავლიანობამ კი შეადგინა 32.2 ტონა ერთ ჰექტარზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2016-2022 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 2016-2022 წლებში
(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

ხორბალი ქერი სიმინდი

კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა 2016-2022 წლებში
(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილი ბოსტნეული

13.04.2023

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები

წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 211.8 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს უტოლდება. თუმცა საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობი გაიზარდა 4.5%-ით და შეადგინაა 67.1 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა 2.0%-ით და შეადგინა 144.7 ათასი ჰექტარი შეადგინა.

ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი სიმინდს უკავია, რომლის ნათესმა ფართობმა 76.9 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 55.5 ათასი ჰექტარი იყო, ქერის - 27.2 ათასი ჰექტარი, კარტოფილის - 16.8 ათასი ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების - 13.2 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის - 9.5 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი კულტურების ჯამური ნათესი ფართობი 14.4 ათას ჰექტარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა კულტურების მიხედვით.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა,
2022* წელი



*წინასწარი მონაცემები.

13.04.2023

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს ქვეყანაში წარმოებულია 87.9 ათასი ტონა თესლოვანი ხილი, რაც 1.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში წარმოებულია ასევე 69.7 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (წინა წელთან შედარებით 5.6 პროცენტით მეტია), 42.2 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (21.7 პროცენტით ნაკლებია), 17.3 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (25.1 პროცენტით ნაკლებია), 53.1 ათასი ტონა ციტრუსი (13.8 პროცენტით ნაკლებია).

გარდა ზემოთქმულისა აღსანიშნავია, რომ 2022 წელს წარმოებულია 279.8 ათასი ტონა ყურძენი, რაც 3.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2022 წლებში.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2022 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

ხილი (ყურძნისა და ციტრუსის გარდა) ყურძენი ციტრუსი

თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული ხილის წარმოება 2016-2022 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2022 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge